№ 18

სამშაბათი, 26 იანვარი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 18

სამშაბათი, 26 იანვარი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილის ... [stamp]


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 იანვარს,

**ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა**

ქართულის დრამატიული საზოგადოების დასისაგან, **ქ-ნ ე. მესხის და კ. ყიფიანის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

პირველად ახალი პიესა

**კონსტანტინე ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

---

დამდეგ **1899** წლისთვის დაწყებულია ხელის მოწერა

**აკაკის**

**„კრებულზედ“.**

ფასი წლიურად გაუგზავნელად 6 მანეთი და გაგზავნით 7 მ. ნახევარი წლით 4 მან და ცალკე ნომერი 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ყვირილაში კრებულის რედაქციაში და ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში.

(5—უ.—4)

---

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ** საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

**ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—6).

---

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

თავ. გრიგოლ ნიკოლოოზის ძე

**დიასამიძე**

მიიღებს მსურველთ ყოველ დღე დილის 8—10 საათამდე და საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$-მდე.

მადათოვის სუდებნაია, 4, ინჟენერ გრინიოვის სახლი. (5—4—4)

---

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ **სოფ. წინარეხის სკოლაში** ამ ჟამად **მას წავლებლის ადგილია თავისუფა**ლი. მასწავლებელს ექნება ბინა (ორი ოთახი და სამზარეულო), შეშა და ჯამაგირად თვეში სამი თუმანი. სკოლას ჰყავს მოსამსახურე. მასწავლებლობის მსურველმა უნდა მიჰმართოს თხოვნით „საზოგადოების“ გამგეობას. (3—უ.—3)

---

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის**

**კანცელარია**

გაიხსნება ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. (30—6.—5)

---

ქ. ქუთაისი

**ექიმი**

**ნ. გ. ჩიჩინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—6.—4)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საღოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Павасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—9)


---

**მთავრობის განკარგულებანი**

—

გადაყვანილ იქმნა ჩერნომორის ბრიგადის პორუჩიკი გედევანოვი—იმიერკასპიის ბრიგადაში.

კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა უბოძა ოქროს მედლები „მამაცობისათვის“ ზედ წარწერით 1898 წლის 31 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიაში ავაზაკთა დასის განდევნისათვის ბათუმის მილიციის მილიციონერებს აბდულ-ჟფენდი მიქელაძეს და თავ. ნიკ. ლორთქიფანიძეს.

---

## ახალი ამბავი

—

⁂ ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა ახალი თარგმანი გრიბოედოვის შესანიშნავის კომედიისა: „ვაი ჭკუისაგან“. ამ კომედიის ერთი თარგმანი გვაქვს ჩვენ, რომელიც რამდენჯერმე წარმოუდგენიათ კიდეც ქართულს სცენაზედ, მაგრამ იგი, ჯერ ერთი, პროზად არის და მეორე, თვით თარგმანიც დაძველებულია. ეს ძველი თარგმანი ეკუთვნის ბ-ნს ილია წინამძღვარიშვილს. ახლა-კი ეს პიესა უთარგმნია ჩვენს პოეტ-ქალს ქ-ნს განდეგილს. პიესა ნათარგმნია მშვენიერის ქართულის ენით, ლამაზის ლექსით და დიდად დაახლოვებულია დედანთან. მეტადრე ლამაზად აქვს ქ-ნს განდეგილს გალექსილ-გადმოთარგმნილი მონოლოგები და ყველა ის შესანიშნავი ადგილები გრიბოედოვის პიესისა, რომლებიც რუსულს ლიტერატურაში ხელისხელ საგოგმანებელ ლათაია-ანდაზებად არის გარდაქმნილი. სწორედ უნდა მივულოცოთ ჩვენს ლიტერატურას საერთოდ და კერძოდ ჩვენს თეატრს ამ პიესის ახალის თარგმანის შეძენა.

⁂ ქალაქის მოურავის მიერ გუბერნატორთან წარდგენილ სიიდგან სჩანს, რომ 1898 წელს ტფილისელ ახალგაზრდათა შორის ჯარში გაწვეულ იქმნენ: 31 რუსი, 3 პოლონელი, 1 გერმანელი, 20 ქართველი, 41 სომეხი, 6 ებრაელი და 2 მაჰმადიანი, სულ 104 კაცი.

---

## ფელეტონი

—

**საქართველოს მეფე წმ. დავით აღმაშენებელი**

(† 1089—1125 წ.წ. *)

დავით აღმაშენებელი გარეშეთა ბრძოლათა შინა წინა დაუდგრომელობით უბრძოლველ და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხვათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო: რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი, შვენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითაალმოსავალი, ყვავილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღვთისა; არა თავს იდვა, რათა არა უმეტეს მოღვაწე იქმნეს გაბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა: ვინაიდგან იგინი წარმდინარ (ესე იგი გარეგანნი სიკეთენი); ხოლო ესენი (ე. ი. შინაგანნი სიკეთენი) დაუსრულებლობასა თანა ღვთისასა თანა დაუსრულებელ არიან (რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერა“).

ეს ღრმა-აზროვანი სიტყვები წარმოსთქვა საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებელის შესახებ რუის-ურბნისის საეკკლესიო კრებამ, რომელიც 1103 წელს მოწვეულ იქმნა ხსენებულის უკეთილ-მსახურესის მეფისაგან აღმოსაფხვრელად სხვა და სხვა უწესოებათა და უკეთურებათა, რომელთაც ღრმად ჰქონდათ ფესვი გადგმული ქართველის ხალხის ცხოვრებაში. ამ სიტყვებში გამოხატულია ის აზრი, რომ წმ. მეფე დავით აღმაშენებელი ზრუნავდა არა თუ მარტო საქართველოს უსჯულოთა ბატონობისგან განთავისუფლებისათვის, არამედ უმეტესად—აღყვავებისათვის, გაბრწყინვებისათვის, სულის შინაგანთა სიკეთეთა,—ე ე იგი ჰზრუნავდა ასამაღლებლად და გასამტკიცებლად ქართველთა შორის ქრისტიანობრივის სარწმუნოების და ზნეობისა.. ამ სიტყვებში ჩვენ ვხედავთ წმიდის დავით აღმაშენებლის პიროვნებას სრულის სავსებით; აქ გამოხატულია მეფე დავითი, როგორც მოღვაწე სამხედრო-სამოქალაქო, ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით, როგორც მოღვაწე საეკკლესიო,.. მოღვაწე გასაბრწყინვებელად სულის შინაგანთა სიკეთეთა, რომელნიც ისეთივე დაუსრულებელნი არიან, როგორც თვით ღვთაება, წყარო შინაგანთა სიკეთეთა, დაუსრულებელია. მით უფრო ძვირფასია სახსოვარი ამ დიდებულის მეფისა, რომ ის ჰზრუნავდა უმეტესად სულის შინაგანთა სიკეთეთა გასაბრწყინვებლად, რომ ის მაღლა აყენებდა უკვდავ სულს და სულიერ მის წრაფებათა და მოთხოვნილებათა, მათ განვითარება-აღყვავებას უფრო უმეტესს ყურადღებას აქცევდა, ვინემ მომაკვდავს ხორცსა და ხორციელ მოთხოვნილება-მისწრაფებათა, რომელნიც ჩქარა-წარმავალნი არიან და ისპობიან კაცის სიკვდილთან ერთად.

ღვთის-მშობლის ხვედრი საქართველო მრავალ-წამებულს იობს მოგვაგონებს... ბევრი ტანჯვა-წვალება გამოიარა მან იესო მაცხოვრის სწავლა მოძღვრების დასაცველად; ამ სწავლა მოძღვრებისათვის მრავალი სისხლი დაათხია ქართველმა ხალხმა აზიის ბარბაროსებთან ფიცხელს ომებში. ბევრი ქართველი ზვარაკად შეეწირა მშობელს და აღმზრდელს მართლმადიდებელს ეკკლესიას. საქართველოს ეკკლესიას მეხუთე საუკუნის დასაწყისშივე მოუხდა შეტაკება სპარსებთან, რომელთაც სურდათ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა საქართველოში და დაემყარებინათ ცეცხლ-თაყვანის მცემლობა... მაგრამ მეშვიდე საუკუნის დასაწყისში ქართველებმა და ბერძნებმა სამუდამოდ შემუსრეს ცეცხლის თაყვანის მცემლობა... შემდეგ საქართველოს და ქრისტიანობას გამოუჩნდნენ საშინელნი მტერნი. ესენი იყვნენ არაბები, რომელნიც თავისის ცრუ წინასწარმეტყველის მაჰმადის სწავლას ცეცხლითა და ხმლით ავრცელებდნენ. ამ ორის მხრის გარდა საქართველო იძულებული იყო მართლმადიდებელის სარწმუნოების დასაცველად ებრძოლა სიტყვით და საქმით ხაზარებთან, კავკასიის სხვა და სხვა მთიულებთან, სომხებთან და სხვა ქრისტიანობის მტრებთან და მწვალებლებთან... ჭეშმარიტად, იმ თავითვე „მართლმადიდებლობითი ჯვარი გახდა ქართველის სამშობლოდ და მისის ეროვნობის გამომხატველად, დაცვა ქრისტიანობისა კი—მისის ისტორიის უმთავრეს საგნად. ქართველი ხალხი—ჭეშმარიტად ჯვაროსანი ხალხია. მთელი მისი მრავალ-საუკუნოვანი ცხოვრება მიმდინარეობდა ლოცვასა და მაჰმადიანობასთან ფიცხელ ბრძოლის შორის... ქართველს ჯვარი თუმცა გარედგან ტანისამოსზედ არ ჰქონდა გამოხატული, მაგრამ ის ღრმად იყო ჩასახული მისს გულში“. მეათე საუკუნის გასულს არაბთა სამეფო დასუსტდა... საქართველომ, არაბთა ბატონობის ქვეშ მყოფმა, ამ დროს იწყო გაერთიანება: კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, აფხაზეთი, სამეგრელო სვანეთი ბაგრატ-მესამის სამეფო სკიპტრას (კვერთხს) დაემორჩილა... საქართველო კეთილ-წარმატების გზას დაადგა და ბრწყინვალე, ბედნიერის მომავლის მოლოდინი ჰქონდა.

მაგრამ მეთერთმეტე საუკუნეში მთელს ქრისტიანობას საზოგადოდ და კერძოდ საქართველოსაც ისეთი მტრები გამოუჩნდნენ, რომელთა მსგავსი მათ არასოდეს მოვლენიათ. ეს მტრები იყვნენ სელჩუკ თათრები...

*) დღეს სწორედ 744 წელიწადი სრულდება, რაც გარდაიცვალა საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი.

*** ქალაქის გამგეობის კრებამ გუშინ განიხილა მოხსენება იმ კომისიის თავმჯდომარისა, რომელსაც დავალებული აქვს ხელ-მეორედ დაფასება ქალაქის მამულთა. კრებამ დაადგინა გადადებულ იქმნას 1000 მანათი დამფასებელ კომისიის საქმეთა საწარმოებლად. რადგანაც კომისიის საქმე ჯერ გათავებული არ არის და ამისათვის საჭიროა დრო 1898 წლის 1 აპრილამდე და გარდა ამისა შარშან კამისიას დაუხარჯავს 1226 მან. და 33 კაპ. მეტი ვიდრე უნდა დაეხარჯნა, ამიტომ გამგეობის კრებამ გადასწყვიტა, მიეცეს კიდევ კომისიის თავმჯდომარესა და ერთს წევრს 1 აპრილამდე თვეში 100 მან. თითოს და გარდა ამისა კიდევ 3000 მან. დაფასების საქმის საწარმოებლად.

ამავე კრებამ გადასწყვიტა მიეცეს 6 წლის ვადით ადგილი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ალექსანდრეს ბაღში სამეურნეო იარაღისდასაწყობად.

*** ცხენის რკინის გზის დირექტორმა რობიმ მიჰმართა ინჟენერს ბლანშოს და სთხოვა გამოეკვლია, რა წესითა და რიგით შეიძლება ისარგებლოს კაცმა მტკვრის ძალით, რომ ელექტრონის მანქანები გაიმართოს ცხენის რკინის გზისათვის. ბლანშომ უკვე წარუდგინა რობის პროექტი. პროექტში მოხსენებულია, რომ თამამშევის წისქვილის მახლობლად, ორთაჭალაში უნდა გაკეთდეს კლდეში 1 ვერსის სიგძეზე გვირაბი, მტკვარი ამ გვირაბში გაივლის და შემდეგ ისეთი ძალა ექმნება, რომ რკინის გზის ვაგონებისათვისაცა და ქუჩების განათებისათვისაც საკმაო იქმნება. ამ საქმისათვის საჭიროა 500,000 მან.

რობი სწერს ქალაქის გამგეობას, რომ ამ ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ, ხოლო იმ პირობით, რომ კიდევ ხუთის წლის ვადით რკინის გზა ჩვენს ხელში იყოსო, ე. ი. ქალაქის მმართველობას შეეძლება რკინის გზა 15 წლის შემდეგ-კი არ შეისყიდოს, როგორც აქამდე უნდა ყოფილიყო, არამედ 20 წლის შემდეგ.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ასე გაანაწილა ის თანხა, რომელიც მოუსავლობით დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთა სასარგებლოდ იქმნა შეკრებილი 1898 წელს და რომელიც დღემდის არ დაურიგებიათ: დუშეთის მაზრას—200 მანეთი, ზანგეზურის მაზრას—200 მანეთი, ბორჩალოს მაზ.—200 მანეთი, გეოგჩაის მაზ.—100, სიღნაღის მაზ.—100, ახალ-ბაიაზეთის მაზ.—100მ., ყაზახის, თიონეთისა და გორის მაზრებს—თითოს 50 მანეთი.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის გუბერნიის გამგემ დაავალა ქალაქის მოურავს ქალაქის თვით-მართველობა დაუყოვნებლივ შეუდგეს ქალაქის მოწყობა-დასუფთავების საქმეს და კერძოდ იმ უწესოების გასწორებას, რომელიც მთავარ-მართებლის მიერ ქალაქის დასათვალიერებლად დანიშნულმა განსაკუთრებულმა კომისიამ აღნიშნა. როგორც ამ კომისიის მოხსენებიდგანა სჩანს, ქალაქი მეტად უსუფთაო და არა სანიტარულ მდგომარეობაშია და საზოგადოდ ქალაქის საქმეები არ არის კარგად და წესიერად წარმართული. კომისიას აღმოუჩენია: რომ ქალაქის თვით-მართველობის აგენტები თავიანთ საქმეს გულ-დასმით არ ეკიდებოდნენ, ქალაქის ფული უთავ-ბოლოდ იხარჯებოდა, ქალაქის თვით-მართველობა ერთნაირ ყურადღებას არ აქცევდა ქალაქის ყველა ნაწილებს, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სანიტარულ წესების დაცვას და მრავალი სხვა. ქუჩების მოკირწყვლის საქმე არ არის კარგად დაყენებული: ფული ბევრი იხარჯება და სასურველი ნაყოფი-კი არ მოაქვს. ასეთსავე მდგომარეობაშია ქუჩების დასუფთავება დაწმენდის, განათების, არხების გაყვანის, წყლის მილის და სხვა მრავალი საქმე. ქალაქის საყასბო არა სანიტარულ მდგომარეობაშია სადგომის სივიწროვისა გამო-კი არა, როგორც ქალაქის მოურავმა განმარტა, არამედ უყურადღებობისა და ამ საქმის კარგად წაყვანის უცოდინარობისა გამო. ყურადღება არ არის მიქცეული დუქნების, ფურნეების, ტრაქტირების და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა სისუფთავეზედ. ის გარემოება, რომ ქალაქში ხშირად ჩნდება სხვა და სხვა გადამდები სენი, უნდა მიეწეროს ქალაქის უსუფთაობას და არა-სანიტარულ მდგომარეობას. ამას ზედ ისიც ერთვის, რომ ქალაქს საკმაო სამკურნალო დაწესებულებანი არა აქვს როგორც,—მაგალითად, საავადმყოფოები, თავშესაფარები და სხვანი. ყველა ამის გამო ტფილისის გუბერნიის გამგემ, მთავარ-მართებლის ბრძანებით, დაავალა ქალაქის საბჭოს დაუყოვნებლივ შეუდგეს შენიშნულ უწესოების გასწორებას და საზოგადოდ ქალაქის მოწყობა-დასუფთავებას.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 22 იანვარს, კრებაზედ, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შავის ზღვის პირის გუბერნიის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ გუბერნიაში დაარსებულ იქმნას ხსენებულის საზოგადოების განყოფილება.

*** საეკლესიო სიძველეთ-საცავის მზრუნველმა კომიტეტმა 12 იანვარს კრებაზედ კომიტეტის ახალ წევრებად მიიღო: ქვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღვარი დოსითეოსი, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორი ე. ვ. მამინაიშვილი, სამრევლოსაეკლესიო სკოლების საეპარქიო ზედამხედველები თ. ჟორდანია და მღვ. მ. კელენჯერიძე, ი. პ. როსტომაშვილი, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. ბარნოვი, დეკანოზი დ. ღამბაშიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მ. ი. ჩოგოვაძე და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ი. თ. სანებლიძე.

*** დღეს, 26 იანვარს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება ექმნება. კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, ვიტმერის მოხსენება ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

*** მკითხველებმა უწყიან, რომ წარსულ ზაფხულს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილს გამართულ იქმნა მეაბრეშუმეობის გამოფენები, ექსპერტიზა გამოფენილ საქონლისა უკვე დასრულდა. როგორც ამ ექსპერტიზამ აღმოაჩინა, ყველაზედ კარგი გამოსავალი ჰქონია ქუთაისის გუბერნიაში მოყვანილს პარკს: სამი გირვანქა ხმელი პარკი იძლევა ერთ გირვანქა აბრეშუმს, სხვაგან-კი ერთ გირვანქა აბრეშუმს იძლევა 4 გირვანქა პარკი.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქის გამგეობამ დაადგინა იმ უთანხმოების განხილვა, რომელიც ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვსა და გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკის შორის მოხდა, მიანდოს სამედიატორო სასამართლოს. «კავკ.» სი იუწყება, რომ ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა გამგეობაში ქაღალდი შეიტანა, რომელშიაც აცხადებს, რომ ეს საქმე სამედიატორო სასამართლომ კი არა, მხოლოდ საბჭომ უნდა განიხილოსო.

*** ბათუმიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ საბჭოს მიერ არჩეულნი ქალაქის მოურავად ლ. ნ. ასათიანი, გამგეობის წევრად გ. ი. ვოლსკი და ქალაქის მდივნად ი. ს. მესხი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაში.

*** „ახ. მიმ.“-ს სიტყვით აზრადა აქვთ დააარსონ კავკასიაში შუშის მკეთებელი სააქციონერო საზოგადოება. წესდება ხსენებულ საზოგადოებისა უკვე შემუშავებულ და წარდგენილ იქმნა სამინისტროში დასამტკიცებლად.

*** „ტფ. ფურ“-ი იუწყება, რომ ქუთაისში არსდება ახალი ამხანაგობა, რომელსაც აზრად ქუთაისის გუბერნიის მთა-მადნების წარმოება ექმნება. ამხანაგობა აარსებს ქუთაისში ლაბორატორიას.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ პეტერბურგიდგან: მიწად-მოქმედების სამინისტრომ თუმცა მოიწონა პროექტი ტფილისში საფეიქრო სახელოსნოს დაარსების შესახებ, მაგრამ საჭირო თანხის უქონლობისა გამო ამ პროექტის განხორციელება რამოდენიმე ხნით გადასდო.

*** განჯა. 31 იანვარს ქართული საღამო იქნება აქ გამართული. საღამოსათვის წარმოსადგენად არჩეულია თავ. რ. ერისთავის კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. წარმოდგენის შემდეგ ცოცხალ სურათებს დასდგამენ. მოწვეულნი არიან ქ-ნი სარაჯიშვილისა და გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნნი ვ. აბაშიძე და კამიონსკი.

*** აზრადა აქვთ იმ სადგომში, სადაც წინად ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარია იყო მოთავსებული, ქალაქის გამგეობა გადაიტანონ. გამგეობის გამოანგარიშებით ამ სადგომის გადაკეთებას დასჭირდება 5000 მანეთი.

*** „მშაკი“ სწერს ახალქალაქიდგან, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დააარსოს ახალქალაქის მაზრაში, სოფ. გორელოვკას მახლობლად მერძეობის სასწავლებელიო.

*** ამას წინად ტფილისიდგან, გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, ფოსტით დ. ოდოთში გაუგზავნიათ 4,000 მანეთი. ფული ტყავის პარკებში ყოფილა. როდესაც ოდოთში პარკები გაუხსნიათ, არ აღმოჩნდა თურმე ერთი პარკი, რომელშიაც 2000 მანეთი ყოფილა. ამ საქმის გამოძიება მიანდეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწეს ბ-ნ კოჟინს.

*** სასტ. „იუჟნი ნომრებში“ მცხოვრებმა თამამშევმა განაცხადა პოლიციაში, რომ 12 იანვარს საწერის სტოლის უჯრიდგან ვიღაცამ 60 მანეთი მომპარაო. ეჭვი თამამშევმა ამ სასტუმროში მოსამსახურე კონსტანტინე პიხალაძეზედ შეიტანა.

*** 23 იანვარს, „ლონდონის“ სასტუმროსთან ეტლი № 150 დაეჯახა ტფილისის მოქალაქეს კონსტანტინე ვისიტაძეს და დააშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ხონი, (ქუთაისის მაზრა). ბაზრობა, რომელიც პარასკეობით იმართება, გამაცოცხლებელია და სულის ჩამდგმელია ხონისა. მიძინებული დაბა ამ დღეს იღვიძებს და სიცოცხლე ემჩნევა. აქაურს ბაზრობას იმერლებს გარდა მე-

---

სელჩუკებმა ჯერ მცირე აზია დაიპყრეს და შემდეგში მოუახლოვდნენ საქართველოს. იმათმა მოახლოვებამ გააძლიერა ქართველთა შორის შიში და უბედურება: ისინი თავს ესხმოდნენ საქართველოს, აოხრებდნენ, ქალაქებს და დაბებს სწვავდნენ, ქრისტიანებს ზოგთ ჰხოცავდნენ და ზოგნი ტყვედ მიჰყავდათ... სელჩუკ-თათრებს სურდათ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა საქართველოში, საბერძნეთში და სომხითში და იმის ნაცვლად ამ ქვეყნებში გაევრცელებინათ მაჰმადიანობა...

სელჩუკ-თათრების მეფეებმა ჯერ არპ ასლანმა და შემდეგ მელიქ-შაჰმა რამდენჯერმე აღაოხრეს საქართველო, რომელიც უკანასკნელმა სრულიად დაიმორჩილა 1080 წელსა... სელჩუკ-თათრები ბრიყვი, გაუნათლებელი და ველური ხალხი იყო და პირუტყვთა მოშენებას: მეჯოგეობას მისდევდა; ისინი არ იყვნენ დაბინავებულნი განსაკუთრებულს ადგილს: დღეს აქ იყვნენ, ხვალ იქ,—ზამთრობით საქართველოს ზოგიერთის ცივის ადგილებიდგან მიდიოდნენ შუაგულს აზიაში და იქ ატარებდნენ ზამთარს, რომლისაც ეშინოდათ, როგორც თბილის ქვეყნის მცხოვრებლებს. გაზაფხულ-ზაფხულობით-კი კვლავ საქართველოს ესტუმრობდნენ თვისიჯოგითურთ. საქართველოს მშვენიერსა და მდიდარს მინდვრებზედ, მის ყვავილოვანსა და შემკულს ველებზედ უხვად ჰპოვებდნენ საზრდოს თვისთვის და საკვებს ჯოგისთვის... ქართველები გახიზნულნი იყვნენ მთებში და მიუვალს ადგილებში, და ბევრი მათგანი, მტრის მახვილს გადარჩენილი, იხოცებოდა სიცივისა და შიმშილისაგან... ბილწმა მტრებმა საქართველოს ტაძრები და წმიდა ადგილები სამხედრო სახლებად გადააქციეს და წმიდა ტრაპეზები შეურაცხყვეს სხვა-და-სხვა უჯერო საქმეებით. მღვდლებს, სადაც კი მოასწრებდნენ, შეუბრალებლად ჰხოცავდნენ. მოხუცებულებს არ იბრალებდნენ; გათხოვილს და გაუთხოვარს შეურაცხჰყოფდნენ,—ჭაბუკნი და ბავშვები ტყვეებად მიჰყავდათ. ასეთი უბედურება, როგორც ჰმოწმობს მატიანე, საქართველოს ჯერ არასოდეს ენახა... თორმეტის წლის განმავლობაში ასეთს სამწუხარო და სავალალო მდგომარეობაში იყო საქართველო...

არა თუ მარტო საქართველოში, არამედ სხვა საქრისტიანო ქვეყნებშიც ასე მხეცურად იქცეოდნენ სელჩუკ-თათრები. როგორც ჰმოწმობს ისტორიკოსი შლოსსერი, „სელჩუკ-თათრები მუდამ შიშის ზარს სცემდნენ ქრისტიანებს, სტაცებდნენ ქონებას, უვარილით და ხმაურობით შედიოდნენ იმათს ტაძრებში ღვთის მსახურების დროს, სხდებოდნენ საკურთხევლებზედ, აგინებდნენ და სცემდნენ მღვდლებს და თვით პატრიარქსაც კი“. მეორე ისტორიკოსი ლებო ჰმოწმობს, რომ „სელჩუკ-თათრები არა სჯერდებოდნენ მარცვა გლეჯას, ანგრევდნენ შენობებს და ეკლესიებს,—თვისს კარვებს და საცოდავს ქოხებს სდგავდნენ სასახლეთა და ეკლესიების ნანგრევებზედ და ამ ამაოხრებელმა ხალხმა ბევრი მშვენიერი მხარე ველურს უდაბნოდ გადააქცია“...

ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ სელჩუკ-თათრებს ზემოდ-მოხსენებული „ძეგლის-წერა“ სთვლის მხეცის ბუნებიან ადამიანებად და ავაზაკებად.

ამ დაქცევა აოხრების დროს საქართველოში ჰმეფობდა გიორგი მეორე, რომელიც სელჩუკთა მეფე მელიქ შაჰთან წავიდა ბაღდადს, რათა ეთხოვნა მისთვის სელჩუკ-თათრების თავგასულობა აელაგმა და მით ქართველებისთვის მყუდრო ცხოვრება მიენიჭებინა... მაგრამ მისმა წასვლამ ბაღდადს და მისმა თხოვნამ ამაოდ ჩაიარა...

თვით მეფე გიორგი მეორე უზრუნველი და უზარდელი მეფე იყო. ის არ იყო ნამდვილი თავდადებული მამა ხალხისა. იგი ხალხის უნუგეშო მდგომარეობას ხედავდა და ძალა შველისთვის-კი არ შესწევდა, გამუდმებულს ცდას და მოღვაწეობას ხალხის საკეთილდღეოდ თავი მიანება და ნადირობა ქეიფში დროს ატარებდა სწორედ იმ დროს, ოდეს ქართველობა უსჯულოთა მძიმე უღლის ქვეშ მდუღარე ცრემლებს ღვრიდა და უნუგეშოდ გაიცქირებოდა შავ ბურუსით მოცულის მომავლისკენ აწმყოზედ გულ გატეხილი... იმ სავალალო დროს უფრო კარგს მდგომარეობაში, შედარებით, დასავლეთ საქართველო ანუ იმერეთი იყო; იქ იყვნენ გახიზნულნი საქართველოს საუკეთესო შვილები, რომელთაც გიორგი მეორეს მეფობაზედ ხელი აიღებინეს და მისი ძე თექვსმეტის წლის დავითი გაამეფეს. გიორგი მეორემ თავისის ხელით დაადგა გვირგვინი და დაუთმო მეფობა სამედო მემკვიდრეს 1089 წელსა... ცუდს დროს შეხვდა მეფობა ახალგაზდა დავით გიორგისძეს. აღმოსავლეთი საქართველო თითქმის მთლად აოხრებული, განადგურებული იყო და უდაბნოს წააგავდა... მხოლოდ აქა იქ მოსჩანდა გუმბათები იმ ტაძრებისა, რომელნიც მტრის ხელისგან შემუსრვას გადარჩენოდნენ, მაგრამ იქ ლოცვა-ვედრების ხმა აღარ გაისმოდა. დაცალიერებულს სოფლებში აღარ გაიგონებოდა სიმღერა მშვიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეულებიც ბლომად ესწრებიან. მაგრამ როცა ცუდი დარი სდგას და მდინარეები მომატებულია — და ეს ხომ ხშირი მოვლენაა იმერეთში — მეგრელები ვერ გამოდიან მდ. ცხენის-წყალზედ, რის გამოც ხონში ჩვეულებრივზედ ბევრად ნაკლები ვაჭრობა და მრეწველობაა. ამ გვარ არა-სასურველ მოვლენის თავიდგან ასაშორებლად ხონელებმა აგერ რამოდენიმე წელიწადია ცხენის-წყალზედ ხიდის გაკეთება განიზრახეს. რასაკვირველია, იმ გვარ ჩქარსა და მოზრდილ მდინარეზედ ხიდის გაკეთება ადვილი არ არის, მაგრამ თუ-კი მთავრობაც დაეხმარება ხონს, საქმეს სასურველი ბოლო მიეცემა.

რამდენიმე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც ხონელებმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ ხონს ქალაქისა და ან „პასადის" უფლება მიენიჭოსო. იმის მიუხედავად, რომ ამ გვარ თხოვნის სისრულეში მოყვანას ბევრი არაფერი ედობება წინ, ხონი ჯერ კიდევ დაბად ითვლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხონელების თხოვნა შეწყნარებულ იქმნება, რადგან ხონი ბევრს ქალაქს არ დაუვარდება. მცხოვრებთა რიცხვი აქ ათას კომლს აღემატება, ოთხასამდე ქვითკირის დუქანი, დაბას საკუთარი შემოსავალი აქვს ორას თუმნამდე, აქ არსებობს საშუალო და დაბალ ხარისხის სასწავლებლები ორივე სქესის ყრმათათვის, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, სამოსამართლო განყოფილება. გარდა ამისა აქ მშვენიერი ჰავაა, კარგი წყალი და სხ. შარშან ზაფხულში რამდენიმე კაცი აირჩიეს ხონში, რომელთაც დაევალა ამ საგნის შესახებ ხელახლად შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე.

შავია-დია

# რუსეთი

„Кур." ს სიტყვით, უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ სამრევლო საეკკლესიო სკოლების სამაზრო ზედამხედველებად, სადაც-კი შეიძლება, დანიშნულ იქმნენ ხოლმე ისეთი მღვდლები, რომელთაც მრევლი არა ჰყავთ, რადგანაც ზედამხედველს არ შეუძლიან ერთსა და იმავე დროს ეს საქმეებიც გააკეთოს და მრევლსაც მოუაროს.

— ჟურნალ „Обозрѣніе"-ში მეტად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი შემდეგის სათაურით: „საჯარო წიგნთ-საცავები და წიგნის მაღაზიები რუსეთში". როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, 1897 წლის პირველ იანვრისათვის მთელს რუსეთში, თურქესტანისა და იმიერ კასპიის მხრის გარდა, ყოფილა სულ 4,138 საჯარო წიგნთ-საცავი. თითო წიგნთ-საცავი მოდის 30,000 სულს მცხოვრებელზედ. ეს რიცხვი ასე განაწილდება. შიდა რუსეთში სულ 3,865 წიგნთ საცავია, აქედგან იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არის შემოღებული — 3556 წ., თითო წიგნთ საცავი მოდის 24 ათას სულზედ, ხოლო იქ, სადაც ერობა არ არის შემოღებული — 909, თითო მოდის 90 ათას სულზედ; პოლონეთში — 99 წიგ., მოდის 95 ათას სულზედ, კავკასიაში — 59 წიგნ., მოდის — 165 ათას სულზედ, ციმბირში — 100 წიგნ., ერთი წიგნ. მოდის 57 ათას სულზედ, და „სტეპნოი" გენერალ-საგუბერნატოროში — 15 წ., თითო მოდის 229 ათას სულზედ. აქედგან აშკარადა სჩანს, რომ ყველაზედ მეტი წიგნთ-საცავი იმ გუბერნიებშია, სადაც ერობა არის შემოღებული. ამ საჯარო წიგნთ-საცავებს გარდა რუსეთის იმპერიაში 471 კერძო წიგნთ-საცავიც არსებობს.

# უცხოეთი

**ავსტრო-უნგრეთი.** ამ დღეებში ვენის პარლამენტში სამაგალითო სკანდალი მოხდა. კრების დაწყებისათანავე ოპოზიციის დეპუტატებმა ჩვეულებისამებრ ათასგვარი წინადადება წარადგინეს პარლამენტში და მთავრობას გაუწყვეტლივ პასუხს სთხოვდნენ ამა თუ იმ საგნის შესახებ. ამ გვარს უმნიშვნელო და უთავოდ გამოუსადეგარ კითხვებს მოანდომა პარლამენტმა მთელი დრო. ის იყო, პრეზიდენტს კრების დათხოვა უნდოდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატი დაშინსკი წამოდგა და განაცხადა, რომ პარლამენტის დასამშვიდებლად და დასებთა შორის კეთილ-განწყობილების დასამყარებლად, საჭიროა გაუქმებულ იქმნას კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელიც დიდს უფლებას ანიჭებს მთავრობასო. ამასთანავე დეპუტატმა მოითხოვა, რომ ეს წინადადება მაშინვე განეხილა პარლამენტს და ან ჰო ეთქვა და ან არა. ამ წინადადების წინააღმდეგ გამოილაშქრა მლადოჩეხმა კრამარმა. იგი ამტკიცებდა, რომ დაშინსკის წინადადების განხილვა უთავოდ შეუძლებელია, რადგან პალატას ბევრი მორიგი საგნები აქვს ეხლა განსახილველად, რომელთა გადადება შეუძლებელიაო. რაც შეეხება პარლამენტის უნაყოფობასო, განაგრძო კრამარმა, ამაში ბრალი მხოლოდ ოპოზიციას მიუძღვის, რომელიც ღონისძიებას არ აძლევს პარლამენტს, მისი მუშაობა ნაყოფიერი იყოს, და მაშასადამე კონსტიტუციის მე-14 მუხლი აქ მოსახსენებელი არ არისო. პირიქით, დაასრულა თავისი სიტყვა ორატორმა, ეხლანდელ პირობებში ეს მუხლი ერთად-ერთს საშუალებას წარმოადგენს პარლამენტის არსებობისათვის, რადგან იგი რამდენიმედ ფრთებს აკვეცავს ოპოზიციასო.

სიტყვის გათავებისას, იმ ლოჟაში, სადაც კორესპონდენტები ისხდნენ, ტაშის ხმა გაისმა; გერმანელი ოპოზიციონერები, რომელნიც ისედაც ძლიერ აღელვებულნი იყვნენ კრამარას სიტყვებით, ტაშის ცემაზედ კიდევ უფრო აღელდნენ და ხმა მაღლა მოითხოვეს, ტაშის დამკვრელი გარეთ გაიყვანეთო. როცა აღმოჩნდა, რომ ტაშს ჩეხი სცემდა, „Nar. L"-ის კორესპონდენტი, რამდენიმე გერმანელი დეპუტატი ლოჟაში შეცვივდა და მოინდომეს მისი ძალად გაგდება გარეთ. კორესპონდენტს მიეშველნენ მლადო-ჩეხ-დეპუტატები და ერთი მუშტი-კრივი გაიმართა. ბოლოს, როგორც იქნა, მოკრივენი გააშველეს, მაგრამ კოლფი, გერმანელ ოპოზიციონერების მეთაური, ძლიერ ნაცემი აღმოჩნდა და პოსპიშილს სისხლიც სდიოდა. საშინელ ხმაურობის დროს კრება დაითხოვა პრეზიდენტმა, რის შემდეგაც მოწმეებს ჰკითხა და ოქმი იქმნა შედგენილი.

ჰფიქრობენ, რომ ამ სკანდალის შემდეგ მთავრობას მეტი არა დარჩენიარა, რომ პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოსო, მაგრამ ჯერ კენგრიის მთავრობისა და ოპოზიციის ერთმანეთ შორის მორიგებას უცდისო. ეს მორიგებაც, თუ დავუჯერებთ ზოგიერთ გაზეთებს, ჩქარა უნდა დაბოლოვდეს. უნგრეთის ოპოზიცია ეხლა ისე თავგამოდებით აღარ ეომება მთავრობას, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინად. ოპოზიცია თხოულობს, რომ მინისტრ-პრეზიდენტი გადადგეს სამსახურიდგან უთუოდ და იმის მოადგილემ სრული თავისუფლება მიანიჭოს ამომრჩევლებს. ეს ორი წინადადება თუ შეწყნარებულ იქმნება, ოპოზიცია პარლამენტს ხელს აღარ შეუშლის ავსტრო-უნგრეთის ახალი ხელშეკრულობა და დროებითი ხარჯთ აღრიცხვა განიხილოს. როგორც ისმის, ოპოზიციის წინადადება დიდის სიამოვნებით შეუწყნარებია მთავრობას და დღეს ანუ ხვალ ბარონ-ბანფის სამინისტრო სამსახურიდგან უნდა გადადგეს. ბანფის მოადგილედ ასახელებენ კოლომანსელს, რომელიც მოციქულობას ეწევა მთავრობისა და ოპოზიციის შორის.

**ინგლისი და ბელგია.** ამ 15 — 16 წლის წინად საფრანგეთმა წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას, რომ ლამანშის ქვეშ ტონელი გავიყვანოთ, რომელიც რკინის გზით შეაერთებს ამ ორ სახელმწიფოსო. ინგლისმა არ შეიწყნარა მაშინ ეს წინადადება, რადგან შეეშინდა, კაი თუ საფრანგეთში გამოჩნდეს ვინმე ლიუდოვიკ მეთოთხმეტის ანუ ნაპოლეონ პირველის მსგავსი კაცი და ინგლისს მყუდრო ცხოვრება დაურღვიოსო. ეხლა-კი, როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისს ბელგიისათვის მიუმართავს, როგორც პატარა და ნეიტრალურ სახელმწიფოსათვის, რომ დუვრისა და ოსტენდეს შუა გავიყვანოთ ტუნელიო. ხშირი ღელვა ზღვისა უკანასკნელ ხანებში ხელს უშლის ინგლისის ვაჭრობას, და პოდეკალეს ქვეშ ტუნელის გაყვანა, რომელიც ევროპის სხვა სახელმწიფოებთან რკინის გზით შეაერთებს ინგლისს, მართლაც რომ საჭიროა ამ უკანასკნელისათვის. ტუნელის გეგმა უკვე შედგენილი ყოფილა და ორთავე სახელმწიფოს პარლამენტებმა თუ თანხმობა განაცხადეს, საქმის მცოდნე კაცების აზრით, ტუნელი ექვს წელიწადში მზად იქნება.

**ფილიპინები.** ვაშინგტონის მთავრობას სამსახურიდგან დაუთხოვია ორი თავისი პოლიტიკური აგენტი პრატი და უაილდმანი, რომელთა დანაპირებს საბუთად ხმარობენ ფილიპინელები, თხოულობენ-რა თავიანთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. წარსულ გაზაფხულში ეს ორი კაცი უფროს კონსულებად ყოფილან სინგაპურსა და გონკონგში. იქ მოლაპარაკება გაუმართავთ მათ გამოქცეულ ფილიპინელებთან და დაუყოლიებიათ ისინი უკანვე დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში ესპანელებთან საბრძოლველად, რომელთაც იმ დღეებში ამბოხებას ბოლო მოუღეს არხიპელაგზედ. აგვინალდო აცხადებს: ესპანელებს მიტომ დავურღვიე პირობა — ხალხი აღარ ამეჯანყებინა და ფილიპინებიდგან წავსულიყავი, — რომ პრატმა და უაილდმანმა დამარწმუნეს, რომ შეერთებული შტატები გაანთავისუფლებს ფილიპინებს და მათს რესპუბლიკას კანონიერად აღიარებსო. მე ხელახლა ავაჯანყე ხალხი, ესპანიის ჯარებიც დამარცხდნენ, მაგრამ ამერიკელებმა პირობა არ შეასრულესო. პრატისა და უაილდმანის დათხოვნით ამერიკის მთავრობას აზრად აქვს აჩვენოს ფილიპინებს, რომ სავალდებულოდ არ მიაჩნია მათი პირობა შეასრულოსო.

— როგორც „რეიტერის სააგენტო" იუწყება, ფილიპინელებს ოფიციალური გაზეთი დაუარსებიათ, რომელსაც „Republica" ეწოდება. ამ გაზეთის სიტყვით, მალოლოსში კონგრესს დაუმტკიცებია ახალი კონსტიტუცია, აგვინალდოსათვის ნდობა გამოუცხადებია და მისთვისვე მიუნდვია, ამერიკელებს ომი გამოუცხადოს, როცა ის საჭიროდ დაინახავს ამას. კავიტეში კრება ჰქონიათ ქალებს, რომელზედაც დაუდგენიათ, ვსთხოვოთ აგვინალდოს, ნება მოგვცეს ხელში იარაღის აღებისა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცველადო. აგვინალდოს მეგობარს პატერნოს უთხოვია მისთვის, ამერიკელებთან ბრძოლის დროს ლაშქარში გამოჩენილ ადგილას დგომის ნება მომეცო. 20 — 21 იანვარს ამერიკელების დარაჯებს ერთი ფილიპინელი კაპიტანი მოუკლავთ. იმავე ღამეს 5 ფილიპინელს განეზრახათ ამერიკელების ბანაკში მალ-და-მალ შეჭრა და სამაგიეროს გარდახდა. ამერიკელებს ერთი მათგანი მოუკლავთ და დანარჩენი დაუჭერიათ; ამ გარემოებას კიდევ უფრო აუღელვებია ფილიპინელები. ფილიპინების სამინისტროს წინადადება მიუცია აგვინალდოსათვის, დატყვევებული ესპანელები განათავისუფლე რესპუბლიკის გამოცხადების აღსანიშნავადო.

---

მხნელ-მთესველისა... გახრწნილის დაუმარხავად დარჩენილის გვამების მყრალი სუნი მოიწვევდა ტყეებიდგან და მთებითგან მხეცებსა, რომელნიც, როგორც ჰმოწმობს მემატიანე, მრავლად დადიოდნენ სოფლებში... მეფის სამყოფი ადგილი სურამის ახლოს, წაღვლის თავში იყო...

საქართველოს სატახტო ქალაქი ტფილისი მაჰმადიანთა ხელში იყო 853 წლიდამ (ბუღას შემოსევის შემდეგ). ტფილისის მიდამოებში, — ავჭალის და დიღომში, იორის და ალაზნის, ხრამისა და დებედას ნაპირებზედ, სადაც ქართლ-კახეთის სხვა ადგილებთან შედარებით უფრო თბილი ჰავა იცის, თათრების აუარებელი რიცხვი სცხოვრობდა და თარეშობდა ზამთარ-ზაფხულ...

ამ ბნელსა და მძიმე დროს აღმოსავლეთში გავრცელდნენ და გაძლიერდნენ სხვა-და სხვა მწვალებლობითნი სწავლანი, რომელთაც ბუდე გაიკეთეს სომხითში და საქართველოშიაც.

საქართველოს ეკკლესიის შვილების უმეტესობა გამსჭვალული იყო სარწმუნოების მიმართ გულგრილობით. კახეთის მეფემ აღსართან პირველმა უარ-ჰყო ქრისტიანობა და მიიღო მაჰმადიანობა იმ აზრით, რომ სელჩუკ-თათრების მეფის მელიქ-შაჰისთვის ესიამოვნებინა და მით დამკვიდრებულიყო სამეფო ტახტზედ. თრიალეთის მებატონემ ლიპარიტმა მიჰბაძა აღსართანის მაგალითს: იმანაც უარ ჰყო მელიქ-შაჰის სასიამოვნებლად ქრისტიანობა და მიიღო მაჰმადიანობა. აღსართანის და ლიპარიტის მაგალითს უეჭველია ბევრი მათი ქვეშევრდომი მიჰბაძავდა და სარწმუნოებაზედ გულს აიცრუებდა. „ქართლის ცხოვრების" სიტყვით, სასულიერო წოდების ზოგიერთი წარმომადგენელნი ბიწიერად სცხოვრობდნენ და ამითი ჰქონდათ სამწყსოზედ მეტად ცუდი გავლენა.

გამოჩნდნენ ბევრნი ცრუ-მოძღვრები და ცრუ-მწვალებლები, რომელნიც თვისის პირად ინტერესებს უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე საზოგადო და საეკკლესიო საქმეებსა.

„ყოველმა ჰასაკმა და სქესმა — ამბობს „ქართლის ცხოვრება", დაივიწყა შიში ღვთისა და დადგა უსჯულოების გზაზედ და ამიტომ ღმერთმა დასაჯა ქართველები თათრების ზედ დასხმით". ქართველი ხალხი ზნეობითს დაცემასთან ერთად დაღარიბდა, გაღატაკდა. თორმეტის წლის განმავლობაში არ იყო საქართველოში არც ხვნა, არც თესვა...

1064 წლიდგან საქართველო თითქმის 36 წლის განმავლობაში ხარჯს აძლევდა სელჩუკ-თათრებსა... ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა. ძვირად დაუჯდა საქართველოს ველურის თათრების ბატონობა, რომელნიც არ სცდილობდნენ დამონებულის ხალხების განათლებას და კეთილ-წარმატებას.

შემცირდა რიცხვი შობილთა და დაქორწილებულთა, გახშირდა ავადმყოფობა და სიკვდილი: სკოლებსა, ეკკლესიებს და მონასტრებს მოაკლდათ სახელმწიფო ხაზინის დახმარება და კერძო გვამთა შეწირულებანი...

კიდევ რამდენსამე ხანს ასეთს მდგომარეობაში რომ დარჩენილიყო საქართველო, ცუდი მერმისი მოელოდა: ვინ იცის მაშინ მისის ცხოვრების ჩარხი როგორ დატრიალდებოდა?! მით უმეტესად მოსალოდნელი იყო საქართველოს ასეთი უნუგეშო მერმისი, რომ ერთ-მორწმუნე საბერძნეთს ძალა არ ჰქონდა იმისთვის ეშველნა. ის თვით საჭიროებდა შველა-დახმარებას. თითქმის საბერძნეთის თვალთ წინ იხრჩვოდენ და ჰგმინავდნენ იერუსალიმისა და პალესტინის ქრისტიანები ბარბაროსთა მძიმე უღლის ქვეშ, ამაოდ სთხოვდნენ შველა-დახმარებას კონსტანტინეპოლს, რომელსაც იმათთვის შველა სრულიად არ შეეძლო.

როდესაც საქართველო და საქართველოს ეკკლესია ასეთს მდგომარეობაში იყო, საღმრთო განგებულებამ, რომელიც ჰმართავს კაცობრიობის ისტორიულის ცხოვრების მსვლელობას, მოუვლინა ქართველს ერს შესანიშნავი მეფე დავითი...

მას საღმრთო განგებამ შეაძლებინა საქართველოს და ქრისტიანობის განთავისუფლება სელჩუკ-თათრების ბატონობისაგან, გაწმენდა ხალხის ზნეობისა, აღყვავება სარწმუნოებისა და განათლებისა, ერთის სიტყვით, საქართველოს აღშენება... დავით მეფის ღვაწლი მით უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, რომ მან საქართველოს კეთილ-დღეობას საფუძვლად დაუდო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განვითარება ერისა, ურომლისოდ არც ერთს სახელმწიფოს და არც ერთს ერს არ შეუძლიან მიაღწიოს ბედნიერებას. მან ამ მკვიდრს საფუძველზედ აღაშენა საქართველო და მისი წარმატების საქმე და ამიტომ ისტორია მას უწოდებს აღმაშენებელს...

დავით მეფემ, როგორც გენიოსმა გვამმა, შეჰქმნა ახალი ისტორიული ხანა საქართველოს ცხოვრებაში, დაასვა ამ ცხოვრებას თვისის გენიოსობის ბეჭედი... ის ჭეშმარიტად ზეგარდმო მადლით ცხებული გვამი იყო და ამიტომ მისი ღვაწლი იყო კეთილი და აღმაყვავებელი ქვეყნისა...

(შემდეგი იქნება)

ესპანელი ზრები ჯერ ისევ ტყვედ არიან.

—

**შეერთებული შტატები.** გარეშე საქმეთა კომისიამ, რომელიც სენატში არის არჩეული, 13 იანვარს განიხილა სამშვიდობო ხელშეკრულობა. როგორც ჰფიქრობენ, ძლიერი ოპოზიცია უნდა არსებობდეს, რომელსაც აზრად აქვს ხელშეკრულობის დამტკიცებას ხელი შეუშალოს; მაგრამ ამტკიცებენ, რომ ოპოზიცია ვერას გახდება და ხელშეკრულობას შეიწყნარებს სენატიო. სენატს ერთხმად დაუდგენია, რომ ხმის ჩამოტარება სამშვიდობო ხელშეკრულობის შესახებ 6 თებერვალს უნდა მოხდესო. ხოლო ხელშეკრულობის განხილვა ყოველ დღე მოხდება 6 თებერვლამდე გარეშე ხალხის დაუსწრებლად.

— პალატაში დიდი წინააღმდეგობა განუცხადებია დეპუტატს ჯონსონს იმ პროექტის შესახებ, რომლითაც მხედრობა 100 ათას კაცამდე უნდა აგიდეს. ამასთანავე ჯონსონს სასტიკად გაუკიცხავს ამერიკის საქციელი ფილიპინელების შესახებ, რომელნიც თავისუფლებისათვის ისე იბრძვიან ამ ჟამად, როგორც ოდესღაც ამერიკელები იბრძოდნენ. ფილიპინელების რესპუბლიკის ხელის შეხება ჩიჩლს დაჰკრავდეს ამერიკის ყველა თავისუფალ მოქალაქის გულშიო, ამბობს იგი. ხალხი, რომელიც ფილიპინელების მსგავსად იქცევა, თავისუფლების ღირსიაო. დასასრულ ორატორის ქება-დიდებით მოუხსენებია აგვინალდო და აგონსილო, რომელთა სიმამაცე და მოქმედება, მისის სიტყვით, საოცრებას წარმოადგენს.

— აგონსილოს წინადადება მიუცია ამერიკის მთავრობისათვის, გადა დაასახელე, როდის უნდა გაიყვანოთ თქვენი ჯარები ილო-ილოსა და მანილიდგანაო.

## დამაკვირდი

სამართლიანის ცხოვრებით სიმდიდრე არ მოიხვეჭება, რადგან განა სამართლიანობა ეთქმის — ერთს იმდენი ჰქონდეს, რომ სათვალავიც არ იცოდეს, და მეორეს კი სიმშილით კუჭი ეწვოდეს?

* * *

ადამიანთა ცხოვრების ვითარება იმდენად ცვალებადია, რომ არც ერთი კანონი, რა გინდ გენიოსი კაცის შედგენილიც იყოს, თანამედროვე არ არის, რადგან ვიდრე იგი ხმარებაში შევიდოდეს, უკვე მკვდრება...

* * *

რაც უნდა ბევრი ვისწავლოთ, მაინც სათქმელი არ არის შედარებით იმასთან, რაც არ ვიცით.

ბ. დ—ლი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდება 20,453 გაზეთი. მათ შორის ექვსი გაზეთი საგანგებოდ ავადმყოფთათვის იბეჭდება, რომელნიც ან ლოგინად არიან ჩავარდნილნი, ან სახლიდგან გარედ ვერ გამოდიან. ამ გაზეთებში იბეჭდება ავადმყოფების წერილები, რომლებიც ერთმანეთს შესჩივიან თავიანთს დარდს. ხელის მომწერთა და თანამშრომელთა შორის ბევრი ავადმყოფი საავადმყოფოში წევს. ზოგნი ავადმყოფნი ლექსებსაცა სწერენ თავის შესაქცევადა და გასართობად. ერთი-ორი გაზეთი იბეჭდება დაბადებით სნეულთათვის.

* * *

ამ ბოლო დროს იაპონიაც დაადგა განათლებისა და განვითარების გზას. ამ ჟამად იაპონიაში მრავალი ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც მარტო განათლებულსა და განვითარებულს ქვეყანაში შეხვდება კაცი, მაგრამ, ვინაიდგან აწ-მყო უეჭველად წარსულზე უნდა იყოს დამყარებული და იაპონიას-კი წარსული არა აქვს, ამიტომ ხშირად საკვირველ ამბავს შეხვდება აქ კაცი. მაგალითად, ქალაქ იოკოჰამის სამოქალაქო სამკურნალო ისეა მოწყობილი, როგორც ევროპის საუკეთესო სამკურნალოებია და იქვე კი, მეორე ოთახში, ავადმყოფნი იატაკზე წვანან თხელ-ლეიბებზე და თავქვეშ ბალიშების მაგიერად კუნძები უყრიათ. უნივერსიტეტებიც მშვენივრად არის მოწყობილი იაპონიაში, მაგრამ იქვე აუზებში დილიდგან საღამომდე ქალები და კაცები ერთს აუზში ბანაობენ. ტოკის ქუჩაში კაცი ხშირად შეჰხვდება იაპონელს, რომელიც ევროპიულად არის გამოწყობილი, უკანასკნელ მოდაზე და ფეხ-შიშველა კი დასეირნობს. ამ გვარ საოცარს ამბავს ბევრს ჰნახავს კაცი იაპონიაში.

## ღია წერილი

თავ. ამილახვრიანთ და სხ. მიმართ

ჩვენ განვიზრახეთ ცალკე წიგნად დავბეჭდოთ და გამოვაქვეყნოთ ამილახვართა საგვარეულო ისტორიულნი ცნობანი, რაც-კი ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერად მოიპოვება ამ ჟამად. ამიტომ უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ამილახვრებს და სხვებს, ვისაც-კი რაიმე ხელთ-ნაწერი ცნობა აქვს — გვათხოვონ დროებით მოსათავსებლად ჩვენ მიერ დასაბეჭდს წიგნში, რომ დაუბეჭდავი არ დარჩეს. ამისთანა გამოგზავნილი მასალა უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს მადლობით და თითო წიგნით.

ადრესი: ანჩის-ხატის ტაძრის მღვდელს პ. კარბელაშვილს. ქ. ტფილისში.

თ. დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი.

მღ. პ. კარბელაშვილი.

## დეპეშა

24 იანვარი.

**პეტერბურგი.** 23 იანვარს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის ყ-მებითურთ ოლგა და ტატიანა ნიკოლოოზის ასულით ცარსკოე სელოდგან პეტერბურგს გადავიდნენ საცხოვრებლად, საზამთრო სასახლეში.

**ბერლინი.** ბრანდენბურგის სეიმის სადილზედ იმპერატორმა, ობერ-პრეზიდენტის აშენბახის საპასუხოდ, რომელიც ქებით იხსენიებდა გოგენცოლერნების გვარეულობის მოღვაწეობას, სთქვა, რომ გოგენცოლერნებს დიდი ხანია შეგნებული ჰქონდათ, რომ თავისის მოქმედებისთვის ისინი პასუხის მგებლები არიან ღმერთთან. ამას გარდა, ყველა გოგენცოლერნს თანდაყოლილი ჰქონდა ის გრძნობა, რომ ისინი პასუხის მგებლები არიან ერის წინაშე. მოაგონარა სეიმს თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთში, იმპერატორმა ბრძანა, რომ როცა ზეთის-ხილის მთაზედ ვიდექი, მე განვიმეორე ჩემი აღთქმა — რაც შესაძლოა, ყველაფერი გავაკეთო ხალხის სასარგებლოდ. შემდეგ იმპერატორმა მოიყვანა მოლტკეს სიტყვები, რომელიც მან ბისმარკს უთხრა საფრანგეთთან ომის შემდეგ, — „ეხლა საჭიროა თვალ-ყური ვადევნოთ ხის გაზრდასო“. იმპერატორმა შენიშნა, რომ მე მსურს კარგი მებაღე ვიყო გერმანიის იმპერიის ხისთვის, მოვაკვეცდე რა იმ ხორკლებსა და ფესვებს, რომელნიც ზრდას უშლიან ხესო. დასასრულ იმპერატორმა მოაგონა სეიმს საერთო ლტოლვილება მშვიდობიანობისადმი. გერმანიის მკვიდრთ ერთობა უნდა ჰქონდესთ მშვიდობიანობის დარღვევის წინააღმდეგო. საჭიროა მშვიდობიანობის დაცვა შინაც და გარეთაცო. თავისი სიტყვა იმპერატორმა დაამთავრა „hoch“-ით მარკისა და მკვიდრთა პატივსაცემლად.

**ბერლინი.** თავისს სიტყვაში იმპერატორმა, შეეხო-რა „გერმანიის იმპერიის ხის“ დაცვას, სთქვა, რომ ეხლა ხელახლად შემიძლიან აღთქმის დადება, რომ გავაკეთებ ყველაფერს, რის გაკეთებაც შემიძლიანო. წმინდა ადგილებში მოგზაურობამ, — დასძინა იმპერატორმა, — ხელს მომიმართავს ამ ხის დაცვაში და მოვლაში, როგორც კარგს მებაღეს შეჰფერის, — მოვაკვეცო მეტი ტოტები და მოვსპო ცხოველები, რომელნიც ხის ფესვებისათვის საშიშნი არიანო. მაშინ იმედი მექნება ოდესმე ჩემის თვალით ვნახო, რომ ხე მშვენივრად გაიზარდა და იმას დარაჯად ჰყავს გერმანელების მიხეილი, რომელსაც ხელი ხმლის ტარზედ უბჯენია და შორს იყურებაო. უცილობელია, გერმანიის მიხეილი დარაჯია მშვიდობიანობისაო. ყველა ხალხისთვის მშვიდობიანობის დამყარება საუცხოვო საქმეა, მაგრამ ყოველგვარ მოსაზრებასთანაც შეუძლებელია შეცდომის თავიდგან აცილებაო. სანამ კაცობრიობაში არსებობს გამოუსყიდველი ცოდვა, მანამდის ომიც არ მოიშლის მტრობისა და მძულვარების თესვას, კაცი მუდამ იმის მეცადინეობაში იქნება, რომ სხვებს ვაჯობოვო, და რაც კერძო ადამიანებს შორის ხდება ხოლმე, იმასვე ხალხთა შორის ადგილი აქვსო. ამისათვის ვეცადნეთ, რათა გერმანელები მაინც ერთად ვიყვნეთ შეკავშირებულნი, როგორც შეურყეველი კლდე, და დეე შესკდეს გერმანიის ხალხის ამ rocher de bronre-ს ყველა ის ტალღები, რომელნიც მშვიდობიანობას ემუქრებიან, შორს ცხრა მთას იქითაც და აქაც ევროპაშიო.

**მარსელი.** როშფორისა და მისის მეგობრის წასვლის დროს აქ დიდი მანიფესტაციები გაიმართა. იმ სასტუმროდგან მოყოლებული, სადაც ის ჩამოხტა, წყლის ნაპირა ქუჩამდის აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, სხვა და-სხვა ნაირი ხმაურობა ისმოდა; ეტლებში ყვავილებსა და ფორთოხლებს ისროდნენ; ისროლეს აგრეთვე რამდენიმე ქვაც: ცემა-ტყეპა ასტყდა; რამდენიმე კაცი დააპატიმრეს; მუნიციპალიტეტის ორი წევრი პირისახეში არიან დაჭრილნი.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ მუსულმანებს წმინდა ადგილებში მოგზაურობა წლეულსაც აღკრძალული აქვსთო.

25 იანვარი

**პარიჟი.** დიუპუიმ და ლებრემ გადასცეს კომისიას მოთხოვნილ დამატებითი საბუთის ქაღალდების ნაწილი, აკლია მხოლოდ სასამართლოს სამის წევრის ჩვენება. კომისია მიღებულ საბუთის ქაღალდების განხილვას შეუდგა.

**მანილია.** ფილიპინელები კუშინ, საღამოთი, მანილიას დაეცნენ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ ამერიკელების მიერ. ამერიკელების მხრივ მოკლულ აღმოჩნდა 20 კაცი, დაჭრილი 125. არ იციან ფილიპინელებში რამდენია მოკლული და დაჭრილი. თოფის სროლა ჯერ არ შეჩერებულა.

**მარსელი.** დილას გამართულ პატრიოტთა ლიგის კრებას სისხლის მღვრელი შედეგი მოჰყვა. დარბაზში მხოლოდ ლიგის წევრები შეუშვეს. $9^1/_2$ საათზედ კრების გამმართველთ სცნეს, რომ დარბაზში ხალხი საკმაოდ არის და კარები ჩაკეტეს. მოწინააღმდეგეთ გარეთ სტვენა დაიწყეს. მოულოდნელად ვიღაცამ ორჯელ რევოლვერი გაისროლა, ტყვია ორ გამვლელს მოხვდა და დასჭრა. პოლიციამ ხალხი განდევნა მოედნიდგან. ხალხი ძალიან იყო აღელვებული. როდესაც ლიგის წევრები დაიშალნენ, მოწინააღმდეგენი მანიფესტანტებს სტვენითა და ყვირილით მიეგებნენ. ჩხუბი და არეულობა განახლდა. ბევრი დაიჭრა. ჟანდარმები და პოლიცია იძულებული გახდა შეჰბმოდა ხალხს და ბევრი მათგანი შეეპყრო. როშფორი და რეჟი მივიდნენ $3^1/_4$ საათზედ. დელეგაციამ მიართვა მათ ყვავილები. მრავალის ხალხის თანადასწრებით ახლად მისულნი ქალაქში ფეხით გაემართნენ. აქეთიქიდგან ისმოდა: „გაუმარჯოს როშფორს! გაუმარჯოს რეჟის!“. ო. მათი საწინააღმდეგო სტვენა და ყვირილიც გაისმოდა, მაგრამ შიში არ გამართლდა და დიდი კონტრ-მანიფესტია არ მოხდა.

**პარიჟი.** დღეს ფრეისინესა და ლებრეს მოლაპარაკება ჰქონდათ დიუპუისთან სასამართლოს გამომძიებლის ბრძანების გამო ერთის სამსახურიდგან დათხოვნილის ქვეითა ჯარის პორუჩიკის დაპატიმრების შესახებ, რომელიც მე-20 კორპუსის ერთს რაზმში მსახურებდა. ბრძანება დასაბუთებულია იმით, რომ საბუთის ქაღალდები გასცაო. ეს საბუთის ქაღალდები, თუმცა უყურადღებო, მაგრამ სამშობლოს დაცვას შეეხება.

**პარიჟი.** დიურენთან ნახულ საბუთის ქაღალდების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ საქმე სამშობლოს დაცვას არ შეეხება. დიურანი ის აფიცერი არ არის, რომელსაც დაეძებდნენ. ეს უკანასკნელი, როგორც აღმოჩნდა პორუჩიკი ბ., შალონში დაპატიმრებულ იქმნა.

**ნიუ იორკი.** მანილიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხენი იჭერენ ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ განაპირა ადგილასაო. თვით ქალაქში არავითარი უწესოება არ მომხდარა. ქალები გემებზედ გადაიყვანეს.

**ვაშინგტონი.** მიღებულ იქნა შემდეგი ოფიციალური დეპეშა: „გუშინ, ღამე, მეამბოხეთ ბრძოლა განაახლეს. ბრძოლა დღესაც არ შეწყვეტილა. მეამბოხენი უკუ ქცეულ იქმნენ: ამერიკელთ წინ წაიწიეს და მეტი ადგილი დაიჭირეს“.

## განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მქმელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო საპარფიუმერიო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—2)

ТОВАРИЩЕСТВО

Брокаръ и К°.

ИЗОБРѢТАТЕЛИ

ГЛИЦЕРИНОВОЙ ПУДРЫ.

СРЕДСТВО ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ.—8)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**ჯეჯილი**

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს — 4 მან., ტფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 50 კაპ. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში** — „წერა კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა № 5, კადეტის კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.* (3—უ.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Января 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**